ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3137084

ნომერი: AR1482192

თარიღი : 27.02.2017

გაცემის თარიღი : 09.03.2017

გაცნობის თარიღი : 10.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 27 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 25 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაილური , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გვრიტიშვილი პ/ნ 01024051191
- თბილისი ახალშენის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1482192 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. #27 / ს. ჩიქოვანის ქ. #25 / ჩაილურის ქ. #4-ში #01.10.17.045.022 საკადასტრო ერთეულზე, შპს „დეველოპმენტ გრუპი“-ს მიერ წარმოდგენილი განაცხადის შეთანხმებას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში

დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 23 დეკემბერს #AR1465548 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ალექსი ზაიცევმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. #27 / ს. ჩიქოვანის ქ. #25 / ჩაილურის ქ. #4-ში #01.10.17.045.022 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმებული (#2715900 15.07.16წ.) არქიტექტურული პროექტის ცვლილება.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურის #3025562 გადაწყვეტილებით მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცემა არ მომხდარა.
ამასთან გაცნობებთ, რომ #01.10.17.045.022 საკადასტრო ერთეულზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.